პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 დეკემბერი, სამშაბათი, 1986 წ. № 240 (9401) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭადრაკო ოლიმპიადების ექო

მესამე ოქროს მედალიც...

როგორც ცნობილია, არაბეთის გაერთიანებული საემიროების ქალაქ დიუბაიში გამართულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა ოქროს მედლები მოიპოვეს. ქალთა ნაკრების ღირსებას, უკვე მესამედ, მხოლოდ საქართველოს მოჭადრაკეები იცავდნენ. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ქალთა ნაკრების წევრს, მსოფლიოს ექსჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს. ნონასთვის ეს ოლიმპიადა რიგით მეათე იყო. აქ მან 10 პარტია ითამაშა, 10 ქულა მოაგროვა და თავის დაფაზე ოქროს მედალი მოიპოვა, გარდა ამისა, აბსოლუტურად საუკეთესო შედეგისთვის მესამე ოქროს მედალიც მიიღო.

● ქალბატონო ნონა, გილოცავთ ამ ბრწყინვალე წარმატებას. რას გვეტყვით ოლიმპიადის ორგანიზაციაზე?

— მადლობას გიხდით მოლოცვისთვის. ოლიმპიადის ორგანიზაცია შესანიშნავი იყო. საჭადრაკო აფიშები, რეკლამები, სუვენირები... ყველაფერი ლამაზად და გემოვნებით გაუკეთებიათ, ოპერატიულად გამოდიოდა ბიულეტენიც — საღამოს ნათამაშები ყველა პარტია დილით უკვე დაბეჭდილი იყო. პირობებიც ძალიან კარგი გვქონდა.

● რომელი მატჩი იყო თქვენთვის ყველაზე ძნელი?

— ყველაზე ძნელი ჩინეთის გუნდთან შეხვედრა გამოდგა. ჩინელები ფეხდაფეხ მოგვდევდნენ. ორი პარტია ყაიმით დამთავრდა. მე ვუ მინგ კვენს შევხვდი მეორე დაფაზე. ეს იყო ჩემთვის ყველაზე რთული პარტია, უკეთესი პოზიცია მქონდა, მაგრამ ერთ მომენტში სახიფათო მდგომარეობა შემექმნა. არ მინდოდა პარტია ყაიმით დამემთავრებინა და ამიტომ ბოლომდე ვიბრძოლე. შეხვედრა მოვიგე. სწორედ ამ გამარჯვებით ვაჯობეთ კონკურენტს. საბოლოოდ ჩინელებმა III-IV ადგილები გაიყვეს. კარგი პარტიები მქონდა ანგელოვასთან, ერენსკასთან, ალისა

იხ. მე-2 გვ.

18 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოეწყო რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ცნობილი სპორტული კომენტატორის კოტე მახარაძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. იუბილარს მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებთან ერთად გულთბილად მიესალმნენ თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელები — ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა და გიორგი ანთაძე. ცოცხალი იუმორით შეფერილმა გამოსვლებმა დამსწრეთა ალტაცება გამოიწვია.

ტელეტაიპი — მკითხველი

⊙ **იაპონიის** დედაქალაქის ეროვნულ სტადიონზე 62 ათასი მაყურებელი დაესწრო საკონტინენტთაშორისო თასის მატჩს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ „სტიაუასა" და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო კლუბს არგენტინის „რივერ პლეიტს" შორის. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 29-ე წუთზე გაიტანა „რივერ პლეიტში" მოთამაშე ურუგვაელმა ფეხბურთელმა ალსამენდიმ. საკონტინენტთაშორისო თასს არგენტინელები დაეუფლნენ.

⊙ **როტერდამი.** ხელბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა უმაღლესი ტიტული შეინარჩუნა — დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი 30:22 (15:12).
ბრინჯაოს მედლები ნორვეგიელებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში გდრ-ის გუნდს აჯობეს — 23:19 (14:8).

⊙ **გრძელდება** ფეხბურთელთა ევროპის საკლუბო თასების გათამაშება.
რიგა. ადგილობრივი „რადიოტექნიკის" ვაჟთა კოლექტივმა განმეორებითი შეხვედრა მოუგო საფრანგეთის „ფრეჟიუსს" (3:0) და თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში გავიდა.
მინსკი. ბელორუსიის დედაქალაქის „კომუნალნიკმა" ქალთა ანალოგიურ ტურნირში შვერინის (გდრ) „ტრაქტორი" დაამარცხა — 3:0.
სლუცკი. სვერდლოვსკის „ურალოჩკამ" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში პოლონეთის „ჩარნის" აჯობა — 3:0 და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

⊙ **ჰოლანდიის** ქალაქ ჰილვერსიუმში დაიწყო მატჩი დიდოსტატებს არტურ იუსუპოვსა (სსრ კავშირი) და იან ტიმანს (ჰოლანდია) შორის. მეტოქეებმა 6 პარტია უნდა გაითამაშონ.
დიდოსტატებმა პირველი შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს.

ერთნაირი ანგარიშით

უბნებისა და სოფლების რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

გასულ შაბათს თბილისის ცირკში კვლავ შეიკრიბნენ ფალავნები და მათი გულშემატკივრები. ქართულ ჭიდაობაში სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობის მორიგი შეხვედრები გაიმართა. ამჯერად ერთმანეთს შეებრძოლნენ რუსთავისა და გლდანის, ხოვლესა (კასპი) და სანიორეს (თელავი) გუნდები. ორივე შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და გამარჯვებულები მხოლოდ ბოლო ორთაბრძოლებმა გამოავლინა. რუსთავის ძველი უბნების ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით (5:4) დაამარცხა მეტოქე, ხოვლელებმაც ასეთივე ანგარიშით სძლიეს სანიორელებს. მაყურებელმა ამ დღეს არაერთი საინტერესო შერკინება იხილა.

— უკვე ხანშესული კაცი ვარ, — გვითხრა სამამულო ომის ვეტერანმა მ. ტაბლიაშვილმა, — მაგრამ, რომ გავიგე ცირკში ქართული ჭიდაობა გაიმართებაო, სახლში რა გამაჩერებდა. სტუმიანი გულშემატკივრების სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ეს კარგი საქმე ითავა. მე კარგად მახსოვს ავლაბრის ცირკში ოციან და ოცდაათიან წლებში გამართული ჭიდაობები. ეს იყო ნამდვილი ეროვნული სპორტული ზეიმი. მაშინდელ ბავშვებს ბილეთის ფული სად გვქონდა, ორი-სამი საათით ადრე მოვდიოდით ცირკში, თუთის უზარმაზარ ხეზე ავძვრებ-

იხ. მე-4 გვ.

ფარმოზიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

ლერი ხაბელოვი

წლევანდელ სპორტულ სეზონში ლერი ხაბელოვის ჯილდოების „კოლექციას" კიდევ რამდენიმე მედალი შეემატა; მან პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX საკავშირო სპარტაკიადაზე, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად დაეუფლა მსოფლიო თასს, მოიგო თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, ვერცხლის მედალი მიიღო ორჯონიკიძეში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე. ერთი სეზონისთვის ურიგო „ნადავლი" არ არის, მაგრამ ლერი ხაბელოვისაგან მაინც მეტს მოელოდნენ ჭიდაობის მოყვარულები. საქმე ის არის, რომ შარშანდელი დიდი გამარჯვების შემდეგ (გეხსომებათ, შარშან ხაბელოვმა მოიგო საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები), ჩვენმა ფალავანმა საკავშირო ნაკრებში, თუ შეიძლება ითქვას, მეორე პლანზე გადაინაცვლა და ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების საგზური ვერ მიიღო.

შეიძლება ვინმემ იფიქროს: დიდმა წარმატებამ ხომ არ გაათამამა, ვარჯიშს არასერიოზულად ხომ არ მოეკიდაო. თავს ვერ გამოვიდებთ, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარაო, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ლერი ხაბელოვი სპორტსმენთა იმ კატეგორიას არ მიეკუთვნება, ტიტულებსა და ლიდერობას უბრძოლველად რომ თმობენ... ყველაფერი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალურმა შეხვედრამ გადაწყვიტა. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი: ლერი ხაბელოვი — ასლან ხადარცევი, (დიახ, ეს ის ხადარცევია, რომელსაც თავის დროზე სწორედ ხაბელოვმა ჩამოართვა ლიდერის „ყვითელი მაისური"). ამ ორთაბრძოლაში მარტო ჩემპიონობის საკითხი არ წყდებოდა. ხაბელოვის გამარჯვება საკავშირო ნაკრებში პოზიციების განმტკიცებას ნიშნავდა, ხადარცევისა — ნაკრებში „მეორედ მოსვლას". ეს ბრძოლა ანგარიშით 2:2 დამთავრდა, მაგრამ თავისუფალ ჭიდაობაში ფრე არ არსებობს. ბოლო ქულა ხადარცევმა მოიპოვა და გამარჯვებაც მას დარჩა. არადა, სწორედ ის ბოლო ქულა იყო საეჭვო. შეხვედრის არბიტრმა მერე ბოდიშიც მოიხადა, შევცდიო, მაგრამ შედეგი, ცხადია, ძალაში დარჩა.

ერთი სიტყვით, ხაბელოვი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ვერ გაემგზავრა, სამაგიეროდ „შინაურულ" შეჯიბრებებში საქართველოს სპორტულ დელეგაციას მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოუტანა. განსაკუთრებით გაგვახარა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე მოპოვებულმა ოქროს მედალმა. ხაბელოვმა, რომ იტყვიან, ცალი ხელით მოიგო ეს შეჯიბრება. ახლა მას სპორტში ერთი მწვერვალიღა დარჩა დასაპყრობი, მაგრამ ეს არის ყველაზე მაღალი და მიუვალი მწვერვალი — ოლიმპიური თამაშები. მანამდე კი, რა თქმა უნდა, კვლავ უნდა დაიბრუნოს ლიდერის „ყვითელი მაისური". ვნახოთ როგორ გაგრძელდება ხაბელოვ — ხადარცევის „დუელი".

ინფორმაცია

⊙ **ბრიუსელში** (ბელგია) მიმდინარეობს 6 დიდოსტატის ორწრიანი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მონაწილეთა შორის არის მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელიც 1983 წლის შემდეგ პირველად თამაშობს ტურნირში. 2 ტურის შემდეგ კასპაროვს 1,5 ქულა აქვს.

ლეიკ-პლესიდი. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი ავსტრიელმა ერნსტ ვეტორიმ მოიგო — 241,2 ქულა (92 და 87 მ.). მეორე ადგილზე იუგოსლავიელი პრიმოჟ ულაგა გავიდა — 233,7 ქულა, მესამეზე — ვეგარდ ოპოსი (ნორვეგია) — 229,8. აღსანიშნავია, რომ ერთი დღით ადრე ოპოსი 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში იყო უძლიერესი.

ჰელსინკი. გაზეთ „იზვესტიის" პრიზისათვის შეჯიბრების პერიოდში ადგილობრივმა ჰოკეისტებმა შვეციის ნაკრებს უმასპინძლეს. გამარჯვება სტუმრებს დარჩათ — 5:4.

მალმიო. აქ ჩატარდა მოცურავეთა ევროპის თასის გათამაშება (25-მეტრიან აუზში), რომელშიც წარმატებით იასპარეზა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, დნეპროპეტროვსკელმა ვადიმ იაროშჩუკმა — მოიგო პირველობა სამ დისტანციაზე. 200 მ. ბატერფლაის სტილით ცურვაში 1.56,89 აჩვენა, 200 მ. კომპლექსურ ცურვაში — 1.59,87, 400 მ. კომპლექსური ცურვის დისტანციაზე კი — 4.14,55.

ჯაკონიე (იტალია). მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი, ცნობილი შვედი მოთხილამურე გუნდე სვანი მეოთხე გათამაშების ლიდერი გახდა. აქ გამართულ 15-კილომეტრიან რბოლაში მან საუკეთესო შედეგი — 36.08,7 აჩვენა.

ოფენბურგი (გფრ). საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებმა ამხანაგურ სამატჩო შეხვედრაში ადგილობრივი გუნდი დაამარცხა: ჩვენმა სპორტსმენებმა პროგრამის ყველა სახეობაში გაიმარჯვეს. მრავალჭიდში პირველი ალმაათელი ვალერი ლიუკინი იყო.

მოსკოვი. დედაქალაქის „დინამოს" წყალბურთელთა კოლექტივმა საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ოქროს მედლები გაინაღდა. ბოლო მატჩში მან ლვოვის თანაკლუბელებს აჯობა — 11:7.

მოსკოვი. თანამედროვე ხუთჭიდელთა ტურნირი სსრ კავშირის სახელმწიფო პრიზზე ანატოლი ავდეევის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ანატოლი სტაროსტინი.

ინფორმაცია

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲣᲤᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ

ᲓᲔᲓᲘ, ᲓᲐᲔᲬᲘᲔ ᲛᲐᲛᲘᲙᲝᲡ!..

...ფინიშის ხაზი პირველმა პატარა ნათიამ გადაკვეთა. რთულ დისტანციაზე დაღლილს დახვენებაზე არც უფიქრია, მაშინვე დედას გამოეკიდა, რომელიც საკმაოდ ჩამორჩენოდა ზურგჩანთიან მამას.

— დედი, დაეწიე, დაეწიე, მამიკოს, თორემ წავაგებთ! — ცრემლიანი ხმით ყვიროდა პატარა ტურისტი და ასწლოვანი მუხების კორომში გაჭრილი მისი ხმა ფინიშისკენ აჩქარებდა ნათიას მშობლებს, რომლებსაც, ალბათ, დამარცხებაზე მეტად შვილის „განაწყენება“ არ სურდათ.

დიახ, იმ დღეს ოცამდე მშობელი ცდილობდა შვილების გახარებას და მათ თვალში „ავტორიტეტის“ ასამაღლებლად ცდილობდა სწრაფად ერბინა, ზუსტად ესროლა, სხარტად გადაელახა დაბრკოლება.

მსგავს სურათს ხშირად წააწყდებით ქუთაისის სპორტულ ბაზებში, ქალაქის შემოგარენში, სადაც სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა სპორტული და ტურისტული საოჯახო შეჯიბრებები. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საქალაქო საოჯახო პირველობა ქვეითი ტურიზმის ტექნიკაში დევიზით: „დედა, მამა მე და... ზურგჩანთა“. ამ შეჯიბრებას უკვე მეხუთე წელია ტრადიციულად ატარებენ კომკავშირის, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტები, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქცია და ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი“.

ამას წინათ მუხნარის აგარაკზე უკვე გამოცდილ გუნდებთან ერთად გამოვიდნენ „დებიუტანტებიც“, რომლებიც რატომღაც მეტისმეტად ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და პატარებსაც საჩუქრებისაკენ ეჭირათ თვალი, თან გუნებაში შშობლების სპორტულ მონაცემებს „სწონიდნენ“... საოჯახო გუნდების ძირითად შემადგენლობაში დედა, მამა და შვილი (5-დან 8 წლამდე) გამოდის. თუმცა, მათ სათადარიგო შემადგენლობებიც ჰყავთ — ბებიას, ბაბუას და შვილიშვილის სახით. ამჯერად საჩუქარეზოდ მხოლოდ „ძირითადი“ შემადგენლობები შეიკრიბნენ. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზურგჩანთის გაწყობაში, ტურისტულ კროსში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ხევის გადალახვაში, „თაგვსაჭერში“ გასვლაში და კარვის სწრაფად გაშლაში.

შეჯიბრება თითქმის ხუთი საათი გაგრძელდა. ყველანი აქტიურობდნენ, მონაწილეებიც და გულშემატკივრებიც, მაგრამ ყველაზე მეტად ბავშვები მხიარულობდნენ. მათ შორის, ალბათ, ყველაზე ბედნიერი იყო პატარა ირინა, რომელმაც მშობლებთან ერთად ყველაზე სწრაფად, 3 წუთსა და 27 წამში დაძლია რთული მარშრუტი.

საქალაქო პირველობა მსგავსი შეჯიბრებების მრავალგზის მონაწილეების, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშების გივი და ლუბა ერმალენკოების ოჯახის გამარჯვებით დამთავრდა. მართალია, მათ მხოლოდ 20 წამით ჩამორჩა მერაბ და მზია გამრეკლიძეების ოჯახი, მაგრამ მათი პატარა ირაკლი არ განაწყენებულა, რადგან გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გოგონა იდგა, ხოლო ბიჭებში თავად იყო პირველი.

სამკერვალო გაერთიანების თანაშრომლების ილია და გულნარა გიორგაძეების ოჯახი და მათი ვაჟი — 6 წლის გიგა, მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ და თავი იმით ინუგეშეს, რომ შარშან ჩემპიონები იყვნენ და ამჯერად გამარჯვების სიხარული სხვას „არგუნეს“.

ვიმპელები, სიგელები და საჩუქრები პრეზიორებთან ერთად შეჯიბრების (მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ა. კენჭაძე) აქტიურ მონაწილეებს მალხაზ ბურდულის, ჯორჯ პივნევის, მერაბ გაბუნიას და ბორის ბაკიროვის საოჯახო გუნდების წევრებსაც ერგოთ.

...შეჯიბრების მონაწილეები გახარებულები დაბრუნდნენ სახლებში. მართალია, „დუბლიორები“ მათ სიხარულს იზიარებდნენ, მაგრამ ხომ არ დადგა დრო — „სათადარიგო“ შემადგენლობებისთვის (ბებია, ბაბუა, შვილიშვილი) ცალკე მოეწყოს შეჯიბრებები? ბებიები და ბაბუები არანაკლებ მონდომებით როდი იასპარეზებენ.

თამაზ ხარაბაძე,
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ჩვენი გოგონების კომპოზიციამ დიდი მოწონება და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ამ თვალსაზრისით მათ ბადალი არ ჰყავდათ. სწორედ ამან განაპირობა, რომ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ქორეოგრაფი ვიქტორ სერგეევი. იგი ამზადებს ახალ პროგრამას და, მისი აზრით, ნელი სლაკის დახმარება დიდად შეუწყობს ხელს მიზნის განხორციელებაში.

ᲑᲐᲖᲐᲪ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ, ᲑᲐᲖᲘᲕᲠᲜᲘᲪ

ორი წლის წინათ თელაველებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 139-ე მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ ააშენა სპორტული თამაშების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სკოლა. ზოგიერთი შენობა, როგორც იტყვიან, გარედან მტერს უყენებს თვალებს, შიგნიდან კი...

მოდით, ამ სკოლაში შევიხედოთ. პირველ სართულზე მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო დარბაზია. იატაკი კარგი ხარისხისაა, ჩოგბურთის მაგიდებიც კარგია. მეორე სართულზე ხელბურთელები და კალათბურთელები ვარჯიშობენ, აქვე იმართება რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებები. დარბაზს აქვს შესანიშნავი იატაკი, ტაბლო, 300 კაცისთვის განკუთვნილი ტრიბუნები, მსაჯთა ლოჟა; მესამე სართულზე ფრენბურთის სპეციალური დარბაზი მოუწყვიათ. სამივე სართულზე არის გასახდელები, საშხაპეები და სანიტარული წერტილები, მაგრამ... დიახ, მშენებლებს მოყვარეზე არ უფიქრიათ. დამხმარე სათავსოების კარები დალურსმულია, რადგან საშხაპეები და სანიტარული წერტილები ბოლომდე არაა გამართული, ასეც რომ არ იყოს, არ მოდის არც ცივი და არც ცხელი წყალი. გასახდელები მოუწყობელია, არ არის ტახსაცმლის შესანახი კარადები, სკამები ან სავარძლები, რომ დაღლილმა სპორტსმენმა ვარჯიშის შემდეგ დაისვენოს.

სკოლის დირექტორი გ. ბურდული ამბობს, რომ მუშაობაში ყველაზე მეტად ის უშლით ხელს, რომ შენობა არ თბება. წყალს გაზით აცხელებენ, მაგრამ გაზი მხოლოდ დილის 11 საათამდეა და საღამოს 8 საათის შემდეგ, ასე იქნება მანამდე, სანამ მთლიანად არ შეიცვლება გათბობის სისტემა და იგი ქვანახშირზე არ გადავა. ამ მიზნით სპეციალისტიც მოიყვანეს და ხარჯთაღრიცხვაც შედგა.

რეკონსტრუქციისათვის 8000 მანეთია საჭირო, მაგრამ ეს თანხა არც განათლების განყოფილებას (განყოფილების გამგე ლია მუმლაური) აღმოაჩნდა და არც საშეფო ორგანიზაციას (სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება, თავმჯდომარე ცეზარ ახმეტელი).

შარშან, შენობის ექსპლოატაციაში გადაცემის ერთი წლის თავზე, სახურავში წყალმა გაჟონა. აღმოჩნდა, რომ გადახურვაში შეცდომაა დაშვებული და სამუშაოც უხარისხოდაა შესრულებული. წყალი რამდენიმე ადგილას გუბდება და მერე ჭერს აზიანებს. შენობის ერთ მეოთხედს ცელოფანი გადააფარეს, მაგრამ საქმეს ეს ვერ უშველის. ზიანდება ფრენბურთის დარბაზი.

სპორტული სკოლის ფეხბურთელთა სექციის წევრები თელავის „კახეთის“ სათადარიგო მოედანზე ვარჯიშობენ, აქვეა მინიფეხბურთის მოედანიც, მაგრამ ერთიც და მეორეც სავალალო მდგომარეობაშია. ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი?

სკოლის დირექციამ არაერთხელ ითხოვა დახმარება. ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ნ. ვაყელიშვილის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „სპორტთამაშების სკოლაში იმდენი ჯგუფია გახსნილი, რომ რეზერვების მომზადების საქმე პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. შეიძლება ეს სკოლის მუშაობის სისუსტეზეც მიუთითებს. მაგრამ თავი და თავი სულ სხვაა. გავიძახით, ბავშვებს საფეხბურთო მინდორი უნდათ და არა მინდორი, რომელსაც ტყუილად ჰქვია სახელი „საფეხბურთო“, მაგრამ ნათქვამი კვლავ რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. საკვირველია მათი არასასიამოვნო დუმილი, ვისაც ამ საქმის მოგვარება შეუძლია“.

სპორტსკოლას, რომელშიც სამოცამდე დიდი და პატარა ოთახია, 12 დამლაგებლის ნაცვლად მხოლოდ ორი ემსახურება. სკოლას არც დარაჯი ჰყავს.

მოუწყობელია ეზო. მთავარი შესასვლელის წინ ქვა-ღორღი ყრია. ადგილი, სადაც ღია სპორტული მოედნები უნდა მოეწყოთ, ბუჩქნარითაა დაფარული.

სკოლაში დღემდე არ არის საერთო ფიზიკური მომზადების დარბაზი. არა აქვთ სხვადასხვა სახის ტრენაჟორები, არ ყოფნით სპორტული ინვენტარი, მაგალითად, ხელბურთელებს თბილისელი კოლეგები დაეხმარნენ — რამდენიმე კარგი ხარისხის ბურთი აჩუქეს. შარშან სკოლამ სპორტული ინვენტარის შესაძენად სამი ათასი მანეთი გადარიცხა, მაგრამ ფული უკან დაუბრუნეს.. დიახ, თელავის სპორტული საქონლის მაღაზიიდან გადარიცხვით შეუძლებელია საჭირო ინვენტარის შეძენა.

სპორტული კომპლექსი სათანადოდ არ არის გაფორმებული, სხვა რა ვთქვათ, არ არის სტენდიც კი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენდა სკოლის ნაკრები გუნდების მიერ მოპოვებულ წარმატებებსა და ჯილდოებს. დღის პირველ ნახევარში და კვირაობით კომპლექსის სპორტული მოედნები არაგეგმაზომიერად იტვირთება, ჩამოყალიბებული არ არის გამაჯანსაღებელი საბინონმენტო ჯგუფები. ერთი სიტყვით, თელაველები საჭიროებისამებრ ვერ იყენებენ თავიანთ სპორტულ ბაზას.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲐᲙᲝᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ?

ᲯᲣ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲪ...

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

მარიჩთან, ტრაბერტთან. 6 პარტია მეორე დაფაზე ვითამაშე, ოთხი — მესამეზე.

ანგელოვასთან, ისევე როგორც შარშანწინ თბილისში გამართულ სუპერ-ტურნირში, დაფაზე გავაძლიერე თეორიული ვარიანტი, რის შედეგადაც ჩემს მოწინააღმდეგეს პოზიცია გაუუარესდა. საერთოდ ოლიმპიადაზე თამაში ამეწყო და პრობლემები არ მქონდა არც თეორიებით, არც შავებით თამაშისას.

ცოტა უცნაური ოლიმპიადა იყო იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს ქალებს შავებით თამაში ერჩიათ. მოჭადრაკეები რიგრიგობით, სურვილის მიხედვით, ისვენებდნენ. წინა საღამოს უკვე ვიცოდით ვის უნდა ეთამაშა მეორე დღეს.

ჩვენი გუნდი თანაბრად თამაშობდა. მართალია, ელენა ახმილოვსკაიას და ნანა ალექსანდრიას თავიანთ დაფაზე მედალი არ მიუღიათ, მაგრამ გუნდს ქულათა დიდი მარაგი შეუქმნეს. ყველა მატჩი მოვიგეთ, ბოლო მატჩის გარდა. ახმილოვსკაიას ბოლო პარტია რომ მოეგო, თავის დაფაზე I ადგილზე გასვლის შანსები ჰქონდა. თითოეულმა წევრმა თანაბარი წვლილი შეიტანა საერთო წარმატებაში. მაია ჩიბურდანიძემ 10-დან 8 ქულა მოაგროვა, ელენა ახმილოვსკაიამ 12-დან 8,5, ნანა ალექსანდრიამ 10-დან 7 ქულა.

● მასპინძლებზე, არაბული ქვეყნების მოჭადრაკეებზე რას გვეტყვით?

— საერთოდ, მათი თამაშის დონე დაბალია, მაგრამ საემიროების წარმომადგენელმა ფარიდა აბდულ ჯარიმმა II დაფაზე პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი მიიღო, თუმცა მას სუსტ მეტოქეებთან უხდებოდა შეხვედრა. ბოლო ორ ოლიმპიადაზე აბსოლუტურად საუკეთესო შედეგების გამოთვლა დაიწყეს მაღალკოეფიციენტიან მოჭადრაკეებთან ნაჩვენები საუკეთესო შედეგით და მედლებიც დაიწესეს.

● რას გვეტყვით ვაუების თამაშზე?

— ვაუთა კოლექტივი რატომღაც ვერ შეიკრა. მათ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს: ჯერ ერთი, შემადგენლობას გვიან ადგენდნენ და მოსამზადებლად დრო არ რჩებოდათ. მეორეც — ქულების მარაგი ვერ შეიქმნეს. ვერ ვიტყვი, რომ არ ცდილობდნენ, მაგრამ ძალიან სუსტ გუნდებთანაც ვერ შეძლეს 4:0 მოგება. ვფიქრობ, კასპაროვი და კარპოვი მძიმე მატჩმა დაღალა და ამან დაასვა დადი მათ შედეგს. გადაღლილები იყვნენ სოკოლოვი და იუსუპოვიც.

პირველ ნახევარში კასპაროვი სხვებზე უკეთესად გამოიყურებოდა და რამდენიმე პარტია მოიგო კიდეც, დანარჩენი გუნდის წევრები კი ყაიმს სჯერდებოდნენ და მატჩებს მინიმალური ანგარიშით იგებდნენ. ამასობაში ინგლისელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქეები და კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. ამერიკის გუნდთან შეხვედრაში სამ დაფაზე თამაში ყაიმით დამთავრდა. კასპაროვის მოწინააღმდეგე სეირავანიც ყაიმს ნატრობდა ალბათ, მაგრამ კასპაროვმა გარისკა, ეტყობა სადღაც შეცდა და დასანანი მარცხი იწვნია. ამ მოგების შემდეგ ამერიკის გუნდიც პირველი ადგილის პრეტენდენტი გახდა. სიტუაცია დაიძაბა. ჩვენებს ორი მოჭადრაკე ვეღარ გამოჰყავდათ. სოკოლოვი, რომელსაც დიდი წარმატება აქვს ტურნირებში, აბსოლუტურად არ არის გუნდური მოთამაშე. აი, ამ დროს ჩამოვიდა დუბაიში საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე ალექსანდრე ჩიკვაიძე. მან გუნდი შეკრა, რწმენა ჩაუნერგა. დატოვა მხოლოდ ოთხი მებრძოლი, რომლებმაც სამ ტურში მხოლოდ 2 პარტია დაამთავრეს ყაიმით, დანარჩენი კი მოიგეს. ოლიმპიადის ბოლო პარტია გარი კასპაროვმა დაამთავრა და მას დიდი ოვაცია გაუმართეს. მაყურებლების უმრავლესობა ჩვენი გუნდის გულშემატკივარი აღმოჩნდა.

● რას გვეტყვით ფიდე-ს პრეზიდენტის არჩევნებზე, მსოფლიო პირველობის გათამაშების სამწლიან ციკლზე დადასვლაზე, ქალთა კომისიის მუშაობაზე?

— როგორც იცით, კამპომანესმა ადვილად მოუგო ბრძოლა თავის ბრაზილიელ კონკურენტს. ყურადსაღები გახლავთ ის, რომ ვაუმა დიდოსტატებმა გადაწყვიტეს შექმნან თავიანთი ლიგა. პრეზიდენტად აირჩიეს კასპაროვი, მოადგილეებად — კარპოვი, ტიმანი და სეირავანი. ყველაფერი ეს კამპომანესის უფლებების შესაზღუდავად გაკეთდა, რათა კამპომანესმა დამოუკიდებლად ვერ შეძლოს სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება.

მოჭადრაკეებს სურთ მსოფლიო თასი გათამაშდეს ჭადრაკშიც, ისევე, როგორც ეს სპორტის სხვა სახეობებში თამაშდება. თასი გათამაშება უნდა ჩატარდეს ორ წელიწადში ერთხელ და 6 ტურისაგან შედგეს. ვისაც აქვს მსოფლიო თასისთვის ბრძოლის სურვილი, მან სამ ტურნირში უნდა ითამაშოს. ამ ტურნირებზე მხოლოდ მაღალი კოეფიციენტის მქონე მოჭადრაკეები დაიშვებიან.

ტურნირები მათი ვარაუდით დიდ თანხებს მოითხოვს (სპარზო ფონდი 2,5 მილიონი დოლარი). სპონსორი ჯერჯერობით არ ჰყავთ. მომავალი გვიჩვენებს რამდენად რეალურია მათი ვარაუდი.

რაც შეეხება სამწლიან ციკლს, პრინციპში მასზე გადასვლა გადაწყდა და ამ საკითხზე უახლოეს მომავალში იმსჯელებს ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტი.

როგორც იცით, ქალთა კომისიის თავმჯდომარედ ნანა ალექსანდრია აირჩიეს. ნანამ მე შემცვალა ამ პოსტზე. სამოღვაწეო ასპარეზზე მან უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები. მოლაპარაკება დაიწყო მსოფლიო ნაკრებისა და საბჭოთა კავშირის ნაკრების მატჩის ჩატარების თაობაზე. ვნახოთ რა გამოვა აქედან.

● და ბოლოს...

— უახლოეს გეგმებზე, არა? იანვარში ჰოლანდიის ვაუთა საერთაშორისო ტურნირში ვაპირებ გამოსვლას, აპრილში კი თბილისს ქალთა საერთაშორისო ტურნირში ვითამაშებ.

● წარმატებას გისურვებთ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲚᲔᲘᲚᲐ ᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ.

საინტერესო ორთაბრძოლების მოლოდინში

როგორც გაუწყეთ, 17 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ჭაბუკ მოკრივეთა (1969-1970 წწ. დაბადებულნი) ტრადიციული, V საერთაშორისო ტურნირი. გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე. ამ შეჯიბრებამ უკვე მოიხვეჭა პოპულარობა ტყავის ხელთათმანის ოსტატთა შორის. ეს, რომელი ქვეყნის წარმომადგენლები არ გამოსულან ჩვენს რიგზე, მათ შორის კრივის აღიარებული ლიდერები — კუბელი სპორტსმენებიც: რ. ეჩევარია, ხ. ერნანდესი, ე. სუარესი, ა. მოია (ყველა — კუბა), ჟ. ჰაიდენრაიჰი (გდრ), კ. კირკოროვი და ვ. დმიტრიევი (ორივე — ბულგარეთი), ა. არტემიევი, ა. ჩოლოკიანი, ა. პრიანიჩნიკოვი, ა. ხალმუხაევი (ყველა — სსრ კავშირი) და სხვები. სასიხარულოა, რომ ცნობილ საბჭოთა თუ უცხოელ მოკრივეებთან ჭიდილში ღირსეულად ასპარეზობენ საქართველოს წარმომადგენლები. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიდან თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გაუმარჯვნიათ ა. კაზანჯიანს, ხ. ხერიანს, ნ. მღებრიშვილს, დ. შარვაშიძეს, ჯ. ყუფარაძეს და ნ. სეთურს. პრიზიორთა შორის ყოფილან: ლ. კუპატაშვილი, ვ. გურჩიანი, გ. ხინჩაგაშვილი, ო. სინჯოიანი, ე. გაბრიჩიძე, ბ. ღურჯია, ი. ბახტაძე, რ. ყურბანოვი, დ. ფურცხვანიძე, ლ. მარქარიანი, რ. კაზანჯიანი, ი. ჭუმბურიძე, ს. ვარდიკიანი, ა. აგრბა.

წლევანდელ, რიგით V საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ღირსებას დაიცავენ: 54 კგ. თენგიზ მესხაძე (ქუთაისი) და ნუგზარ ტყემალაძე (რუსთავი); 57 კგ. თეიმურაზ კვირკველია, 60 კგ. ნიკოლოზ ჯაქვაძე (ორივე — თბილისი) და მირზა ხურციძე (ქუთაისი); 63,5 კგ. ნამო ბიტკაში და ჰამლეტ კარაპეტიანი; 67 კგ. გოჩა მუშკუდიანი და კახა ქარდავა (ყველა — —თბილისი); 71 კგ. კობა ჩალაძე (ქუთაისი) და ელდარ შოგი (თბილისი); 81 კგ. მამუკა აბშილავა (ფოთი); 91 კგ. არჩილ ბიბილური (თბილისი).

ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, სპორტის ოსტატი ჯამბულად უუფარაძე და არტურ საღატელიანი საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით გამოვლენ თბილისის რინგზე. სამწუხაროდ, ავდმყოფობის გამო ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს სსრ კავშირის ჭაბუკთა წლევანდელი პირველობის გამარჯვებული ხვიჩა სეთურიძე.

ჩვენი მოკრივეების მეტოქეები იქნებიან ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის კონსტანტინე ცზიუ, სსრ კავშირის ჩემპიონები ა. აგაევი, ვ. კარპოვი და სხვები.

ალბათ უკვე შენიშნეთ, რომ რესპუბლიკის ნაკრებში ბევრი ახალი, ფართო მასებისთვის დღემდე ნაკლებად ცნობილი მოკრივეა შეუვანილი. ეს ჩვენი კრივის ხვალინდელი დღეა, თუ რამდენად საიმედონი არიან ისინი, ამას მომავალი, ორთაბრძოლები დაგვიმტკიცებენ. ამ ცალტი ჭაბუკიდან V საერთაშორისო ტურნირში მხოლოდ თ. მესხაძეს და ნ. ჯაქვაძეს უასპარეზიათ და, ამდენად, მათ თანაგუნდელებთან შედარებით მეტი გამოცდილება აქვთ. იმედია, ისინი კარგ მაგალითს მისცემენ „უმცროს“ მეგობრებს და ახალი წარმატებებით გაგვახარებენ.

მაშ ასე, ოთხი დღის მანძილზე (17-20 დეკემბერი) საქართველოს კრივის მოყვარულებს საინტერესო ორთაბრძოლები ელით. იმედია, ისინი ქომაგობის გარეშე არ დატოვებენ ჩვენს ახალგაზდა მოკრივეებს.

თეიმურაზ კვირკველია.

გამარჯვება კენიაში

კენიის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ნაირობში გაიმართა ადგილობრივი და საბჭოთა ჭაბუკი მოკრივეების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა. ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში იყო ჭაბუკთა შორის ევროპის წლევანდელი პირველობის ვერცხლის მედლის მფლობელი, თბილისელი სპორტის ოსტატი ნიკოლოზ სეთური. თავის ხუთ თანაგუნდელთან ერთად კენიაში ნიკაბაც აჯობა თავის მეტოქეს.

ევროპა თუ აზია

ამ ორი კონტინენტის ძიუდოისტები დიდი ხანია არკვევენ ურთიერთობას ერთმანეთში. მაგრამ დავა მათ შორის, მეტწილად, დაუსწრებელ ხასიათს ატარებდა მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური ტურნირების შედეგთა გათვალისწინებით. ამჯერად ორი კონტინენტის სპორტსმენები პირადად შეხვდნენ ერთმანეთს ევროპისა და აზიის ნაკრები გუნდების სამატჩო ტურნირში, რომელიც პარიზში „ბერსის“ სპორტის სასახლეში ჩატარდა. ყოველ წონაში გუნდს ორ-ორი მონაწილე გამოჰყავდა.

საბჭოთა კავშირმა ამ საინტერესო ასპარეზობაში სამი ძიუდოისტი წარმოადგინა. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორმა მაიკოპელმა ხაზრეტ ტლეცერიმ (60 კგ) ორი ბრძოლა მოიგო იაპონელებთან — კოძი ონოსთან და აკირა იაძიმასთან. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ლენინგრადელმა იური სოკოლოვმა (65 კგ) ჯერ სამხრეთკორეელ კიუნ კენ ლის მოუგო, მერე კი იაპონელ იოსუკე იამამოტოსთან დამარცხდა. ასევე ერთი შეხვედრა მოიგო და ერთი წააგო ჩელიაბინსკელმა გრიგორი ვერიჩევმა (მძიმე). იაპონელ ხიტოსი



საიტოსთან იგი უმნიშვნელო სხვაობით დამარცხდა, მეორე იაპონელს იუძი ოკადოს კი აჯობა.

ევროპის ნაკრების წევრთაგან ორ-ორი შეხვედრა მოიგეს: მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ბელგიელმა ვან დე ვალემ, მსოფლიო ჩემპიონმა, ავსტრიელმა პეტერ ზაიზენბახერმა, ევროპის ჩემპიონმა ფრანკ ვინეკემ (გფრ), კონტინენტის ჩემპიონატის პრიზიორმა ფრანგმა როჟე ვაშონმა. აზიის გუნდში უძლიერესნი იაპონელები იამამოტო და საიტო იყვნენ.

ამ რანგის პირველ ოფიციალურ შეხვედრაში გამარჯვება ევროპის ძიუდოისტებს ხვდათ — 17:11.

„ლოკომოტივმა“ შეინარჩუნა პოზიციები

საქართველოს საფეხბურთო პირველობის დებულებაში არის საგანგებო პუნქტი, რომლის მიხედვითაც ყოველი წლის გათამაშების შემდეგ თბილისში ერთმანეთს ხვდებიან რესპუბლიკის II ლიგის კოლექტივებს შორის ყველაზე უარესი შედეგის მქონე გუნდი და რესპუბლიკის ჩემპიონი. ეს არის გადასასვლელი მატჩი, მისი შედეგით გაირკვევა შეინარჩუნებს II ლიგაში ადგილს გუნდი, რომელმაც იქ ყველაზე უარესი შედეგი აჩვენა, თუ მის ადგილს რესპუბლიკის ჩემპიონი დაიკავებს?

ეს მეტად სადავო, საპრობლემო პუნქტია და მუდამ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ფეხბურთის სპეციალისტთა შორის. პრობლემა სწორედ ისაა, რომ გავარკვიოთ საჭიროა თუ არა კიდევ ერთი, დამატებითი შანსი შევთავაზოთ საქართველოს მეორე ლიგის ყველაზე უარეს გუნდს, თუ საქართველოს ჩემპიონმა, ამ წოდების მოპოვების შემდეგ ყოველგვარ დაბრკოლებათა გარეშე, შეუფერხებლად უნდა დაიკავოს ადგილი საკავშირო ლიგაში და იქ, უფრო მაღალ დონეზე გამოსცადოს თავისი ძალები.

- მაგრამ სანამ სპეციალისტები დავობენ, დებულება, ე. ი. კანონი, ძალაშია, II ლიგის უარესი გუნდი და საქართველოს ჩემპიონი ყოველ სეზონის ფინიშზე თამაშობენ ერთმანეთთან და II ლიგის გუნდები ჯერჯერობით ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს, საქართველოს ჩემპიონები კი კვლავ რესპუბლიკურ გათამაშებაში რჩებიან. რა თქმა უნდა, საკავშირო სარბიელზე მოასპარეზე გუნდს მეტი გამოცდილება აქვს, ფეხბურთელებიც უფრო შერჩეული და შეთამაშებული არიან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საქართველოს ჩემპიონს წარმატების შემთხვევაში შეუძლია მთლიანად გადაახალისოს თავისი შემადგენლობა და საქმიანად შეუდგეს ახალი პერსპექტივების განხორციელებას, ახალი ამოცანების შესრულებას.

სადავო აქ, მართლაც, ბევრია, მაგრამ ჯერჯერობით კანონი კანონია და მის შესაბამისად განვლილ შაბათს ამ გადასასვლელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ (II ლიგა) და თბილისის „შევარდენი“-სპი (საქართველოს ჩემპიონი). თამაში, უდავოდ, უაღრესად დაძაბული და საინტერესო იყო, ორივე გუნდმა ძალების მთელი მობილიზებით, თავგამოდებით იბრძოლა. პირველ ტაიმში აშკარად შეიმჩნეოდა „ლოკომოტივის“ ფპირატესობა, რომელმაც თითქმის მთელი 45 წუთი მეტოქის ნახევარზე გაატარა. ლოკომოტიველებს სრული უპირატესობა ეპყრათ, მაგრამ შევარდნელები მედგრად იცავდნენ თავს და როცა ტაიმი დამთავრდა, „ლოკომოტივი“ მხოლოდ მინიმალური უპირატესობით იყო წინ. ერთადერთი ბურთი, მეტად ეფექტური, ა. კაპანაძემ გაიტანა 30-ე წუთზე.

შესვენების შემდეგ ძალთა შეფარდება მინდორზე რადიკალურად შეიცვალა. ინიციატივა ხელთ აიღო „შევარდენი“-სპი-მ, გუნდი მონდომებით, ენერგიულად ოტევდა, მაგრამ ლოკომოტიველები საკმაოდ ხშირად, მეთოდურად ახორციელებდნენ კონტრშეტევებს და ერთერთმა ასეთმა მანევრმა მათ წარმატება მოუტანა: წამით ღიად დარჩენილმა უგრეხელიძემ არ დააყოვნა ამ შესაძლებლობის გამოყენება — 2:0.

ეს ანგარიში „ლოკომოტივის“ გამარჯვებისთვის საკმარისი გარანტია იყო, მაგრამ შევარდნელებმა ბოლომდე აქტიურად იბრძოლეს და 70-ე წუთზე ერთი საპასუხო ბურთიც გაიტანეს (ქობელაშვილი). მატჩი ამ ანგარიშითაც — 2:1 დამთავრდა „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ, რომელმაც შეინარჩუნა პოზიციები II ლიგაში.

მაგრამ მარტო ადგილის შენარჩუნება საკავშირო გათამაშებაში არ ნიშნავს, რომ თბილისის „ლოკომოტივის“ პრობლემები საბოლოოდ გადაჭრილია. ეს გუნდი თბილისის სპორტულ საზოგადოებრიობას დიდაქალაქის საფეხბურთო ცხოვრების გამოცოცხლების ერთერთ მძლავრ საშუალებად მიაჩნია. აქ თავი უნდა მოიყარონ ნიჭიერმა, პერსპექტიულმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, რკინიგზელთა გუნდი თბილისის „დინამოს“ აქტიური თანაშემწე და ხელშემწყობი უნდა გახდეს. „ლოკომოტივი“ კი ჯერჯერობით ვერ ამართლებს თავის ამ პირდაპირ დანიშნულებას. უკვე ის ფაქტი, რომ გუნდი რეგულარულად ჩამორჩენილთა შორისაა და რესპუბლიკის კოლექტივებს შორის ლიგაში ბოლო ადგილს იკავებს, რის გამოც საქართველოს ჩემპიონთან ბრძოლა უხდება, თავისთავად მეტყველებს მის უპერსპექტივობაზე, თამაშის დაბალ კლასზე. ცხადი და უდავოა, თბილისის გუნდი მეორე ლიგაში გაცილებით უფრო ძლიერი, ბრძოლისუნარიანი და შემართული უნდა იყოს.

ვფიქრობთ, სადავო და საკამათო არავის ექნება: თბილისის „ლოკომოტივი“ გზცილებით უფრო ძლიერ კოლექტივად გვინდა გვესახებოდეს.

მეტოქეთა შემადგენლობანი ამ მატჩში: **„ლოკომოტივი“** — კოპალეიშვილი, ფირცხალავა, დადვანი, ქელეხიძე, შალამბერიძე, ავრამიდისი, ტ. კაპანაძე, კვირიკაძე (მეტრეველი), ა. კაპანაძე. კულიაშვილი, უგრეხელიძე (დოლიძე); **„შევარდენი“-სპი** — ბერაძე, კოპალეიშვილი, კორსავა, ჩადუნელი, ხატიაშვილი (გოგიჩაიშვილი), ჯოჯუა, მენთეშაშვილი, უგრეხელიძე, ფიშაკარიანი, ქობელაშვილი, ძნელაძე. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი). გააფრთხილეს „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები ფირცხალავა და ტ. კაპანაძე.

ბიჭიკო ჟორჟია.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა



სტატისტიკა, სტატისტიკა...

საბჭოთა კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატი გაგრძელდა 282 დღეს — 1 მარტიდან 7 დეკემბრამდე. გუნდებმა ჩაატარეს კალენდრით გათვალისწინებული 240 შეხვედრა. აქედან მასპინძლებმა მოიგეს 117 მატჩი, სტუმრებმა — 48, 75 — ფრედ დამთავრდა. ფრეთა ლიმიტის გამო ქულები არ დაერიცხათ შემდეგ გუნდებს: ბაქოს „ნეფთჩის“ (2), მოსკოვის „ტორპედოს“ (1), მოსკოვის „დინამოს“ (1). საკუთარ მინდორზე ყველაზე მეტი ქულა დააგროვეს კიევის „დინამომ“ და მოსკოვის „სპარტაკმა“ — 24-24, ყველაზე ნაკლები — ქუთაისის და მოსკოვის ტორპედოელებმა — 14-14. სტუმრად ყველაზე მეტი ქულა აიღო მოსკოვის „დინამომ“ — 18, ყველაზე ნაკლები — ქუთაისის „ტორპედომ“ — 3.

ძირითადი შემადგენლობების მატჩებში აღინიშნა ანგარიშის 19 ვარიანტი. ყველაზე ხშირად გვხვდება ანგარიში 1:0 (48-ჯერ) და 2:1 (39-ჯერ).

ყველაზე შედეგიანი იყო (9 გოლი) მინსკის „დინამოსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისის“ შეხვედრა, რომელიც დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით — 7:2. ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო მოსკოვის „სპარტაკმა“, რომელმაც დაამარცხა მინსკის „დინამო“ — 7:0.

ჩემპიონატში გატანილია 579 ბურთი. აქედან 574 ბურთი მოწინააღმდეგის კარში შეაგდო 164 ფეხბურთელმა, ხოლო 5 ბურთი საკუთარ კარშია გატანილი.

ძირითად შემადგენლობებში სულ ითამაშა 384 ფეხბურთელმა, რომელთა შორის 352 იყო მინდვრის მოთამაშე, ხოლო 32 — მეკარე.

ყველაზე მეტი ფეხბურთელი გამოვიდა „მახტიორისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში (28-28), ყველაზე ნაკლები — კიევის „დინამოს“, მოსკოვის „დინამოსა“ და „ნეფთჩის“ შემადგენლობაში (21-21).

დებიუტი ჰქონდა 70 ფეხბურთელს. ყველაზე მეტი დებიუტანტი იყო ქუთაისის „ტორპედოში“ — 10, ყველაზე ნაკლები—კიევის „დინამოში“ — 1.

ორმა ფეხბურთელმა ითამაშა ორ გუნდში. მ. ოლეფირენკო ჯერ კიეველთა რიგებში გამოდიოდა, ხოლო შემდეგ „მახტიორში“. ს. ვოლგინი ჯერ „სპარტაკის“ ღირსებას იცავდა, შემდეგ ალმა-ათის „ქაირათისას“. (გოლები გაიტანა იქაც და აქაც).

მიმდინარე ჩემპიონატში „ფედოტოვის კლუბის“ წევრი გახდა ორი ფეხბურთელი: მ. სოკოლოვსკი („მახტიორი“) და ს. როდიონოვი („სპარტაკი“).

„400“-იანთა კლუბის წევრი გახდა ო. ბლოხინი („დინამო“ კ), რომელსაც საკავშირო ჩემპიონატში უკვე 412 მატჩი აქვს ნათამაშევი და ამ მაჩვენებლით, ვ. შუსტიკოვის შემდეგ, მეორე ადგილზეა.

„300“-ანთა კლუბის ახალი წევრები არიან: ა. ნოვიკოვი (მოსკოვის „დინამო“), ა. ბუბნოვი („სპარტაკი“), ა. დავიდოვი („ზენიტი“), ვ. გუცაევი (თბილისის „დინამო“) და ი. გავრილოვი („დნეპრი“). ო. ბლოხინი, ა. ნოვიკოვი, ა. დავიდოვი და ვ. გუცაევი ერთ გუნდში გამოდიოდნენ, ა. ბუბნოვი — ორ გუნდში (მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“), ი. გავრილოვი 3-ში („სპარტაკი, მოსკოვის „დინამო“, „დნეპრი“).

ყველაზე მეტი „მშრალი“ მატჩი ჩაატარა რ. დასაევმა, მას 15 შეხვედრაში არ გაუშვია გოლი. ყველაზე სტაბილური თავდასხმა ჰყავდა „დნეპრს“ (დნეპროპეტროვსკელებმა მხოლოდ 5 მატჩში ვერ შეძლეს მეტოქის კარის აღება,) ყველაზე არასტაბილური კი მოსკოვის „ტორპედოსა“ და „მეტალისტს“, მათ 14-14 თამაშში ვერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. ყველაზე სტაბილური დაცვა ჰყავდა „სპარტაკს“ — 17 თამაშში გოლი არ გაუშვია, ყველაზე არასტაბილური—ქუთაისის „ტორპედოს“, რომელმაც მხოლოდ 6 მატჩში შეძლო საკუთარი კარის გადარჩენა.

დაინიშნა 71 პენალტი, სტუმართა კარში — 48, მასპინძელთა კარში — 23. შედეგიანი აღმოჩნდა 64 პენალტი; მასპინძლებმა გაიტანეს—44, სტუმრებმა — 20. ყველაზე მეტი პენალტი დაარტყეს თბილისის „დინამომ“ და „სპარტაკმა“ (7-7) და ყველა გაიტანეს.

71 პენალტი დაარტყა 30 ფეხბურთელმა, მათგან 6 ფეხბურთელმა ვერ შეძლო გოლის გატანა. ყველაზე მეტი პენალტი დაარტყეს ა. ბოროდიუკმა (მოსკოვის „დინამო“) და რ. ჩელებაძემ — 6-6 და ყველა გაიტანეს.

მიზანს აცდენილ 7 პენალტიდან 4 მოიგერიეს მეკარეებმა, ს. პოდშივალოვმა („არარატი“)—2, კ. გრიშკომ („ჩერნომორეცი“) — 1 და ო. გაბელიამ — 1, ერთი დარტყმა ძელს მოხვდა, ხოლო 2 კარს აცდა.

ჩემპიონატის პირველი გოლი გაიტანა ა. ზავაროვმა თბილისის „დინამოს“ კარში, ჩემპიონატის უკანასკნელი გოლი კი ს. კოლივანოვმა (მოსკოვის „დინამო“)—კიევის „დინამოს“ კარში.

ჩემპიონატის ყველაზე „სწრაფი“ გოლი გაიტანა ე. ფეხლევანიდიმ („ქაირათი“) კიევის „დინამოსთან“ გამართულ შეხვედრაში, მე-10 წამზე.

ყველაზე „ხანდაზმული“ ფეხბურთელები იყვნენ მ. სოკოლოვსკი („მახტიორი“) და ვ. ჩანოვი („ნეფთჩი“), რომლებსაც წელს 35-35 წელი შეუსრულდათ, ყველაზე ახალგაზრდა — ო. სალენკო („ზენიტი“), რომელიც 17 წლის გახდა.

რევაზ კოპაძე.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შამადგენლობანი საბოლოო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	30	22	5	3	76-24	49
„დნეპრი“	30	22	4	4	78-32	48
„დინამო“ კ.	30	15	7	8	46-37	37
„ჩერნომ.“	30	15	7	8	51-38	37
„მახტიორი“	30	14	8	8	45-33	36
„ზენიტი“	30	13	8	9	53-44	34
„დინ.“ თბ.	30	13	6	11	49-43	32
„დინამო“ მ.	30	13	5	12	45-35	31
„დინ.“ მნ.	30	9	12	9	38-34	30
„ტორპ.“ მ.	30	9	8	13	39-44	26
„არარატი“	30	10	5	15	32-44	25
„მეტალის.“	30	7	11	12	34-41	25
„ჟალგირ.“	30	9	6	15	30-35	24
„ქაირათი“	30	7	7	16	27-58	21
„ნეფთჩი“	30	3	7	20	21-73	13
„ტორპ.“ ქ.	30	4	4	22	19-68	12

ᲓᲐᲕᲔᲚᲝᲓᲝᲗ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ

ᲭᲐᲓᲠᲐᲪᲘᲡ სასახლეში დამთავრდა გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობების რესპუბლიკური შესარჩევი ტურნირები ჭადრაკში. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ჭაბუკთა შეჯიბრებებიდან საგზურები მოიპოვეს იანის პოპოვმა და ზვიადა სუბატაშვილმა. გუშინ ეს მეტოქეები ერთმანეთში არკვევდნენ შეჯიბრების გამარჯვებულის ვინაობას. მათი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა და ამრიგად, პოპოვმა 8 ქულით I ადგილი დაიკავა, სუბატაშვილს კი 7,5 ქულით მეორე შედეგი აქვს. სხვა ადგილები ასე განაწილდა: III. რამაზ ბაღათურია — 6, IV. ლაშა ჯანჯღავა — 5,5, V. ალექსანდრე დგებუაძე — 4,5, VI. რომან სიჭინავა — 3,5, VII-VIII. გიზო ჭურღულია, ნიკოლოზ მანგაძე —3-3. IX. ალა შალამბერიძე — 2,5, X. ალექსანდრე იოსელიანი — 1,5.

გუშინ გაირკვა გოგონათა საკავშირო პირველობის ორი საგზურის ბედიც. მისი მფლობელები გახდნენ თბილისელი ირინე სანებლიძე (7,5) და რუსთაველი მზია ფანიაშვილი (6,5). შემდეგ მოდიან: III. ცირა მერეკლაშვილი —6, IV. სოფიკო ნიკოლაძე — 5, V-VI. ნინო ხარლამიდი, ნათია ჯანჯღავა — 4,5-4,5, VII. მარინე გაგნიაშვილი — 3,5, VIII. მაია ხუციშვილი — 3, IX. იამზე თვაური— 2,5, X. მაია გრიგალაშვილი —2.

კადეტთა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა გიორგი გოგოლაძემ საბოლოოდ 6,5 ქულა დააგროვა. აკაკი იაშვილმა 3 ქულით დაამთავრა შეჯიბრება, ზურაბ იგრიაშვილმა — 2,5 ქულით.

მაგრამ სანებლიძის, ფანიაშვილის, პოპოვის, სუბატაშვილისა და გოგოლაძის გარდა საკავშირო პირველობებში მონაწილეობას მიიღებენ ნიკოლაძე და სიჭინავაც, რომლებიც ამ შეჯიბრებებში უკონკურსოდ ასპარეზობდნენ. საქმე ისაა, რომ სოფიკო ნიკოლაძემ ეს უფლება მიიღო, როგორც საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონმა, ხოლო რომან სიჭინავა საქართველოს ჩემპიონია კადეტთა შორის.

შეგახსენებთ, რომ საკავშირო პირველობები გაიმართება 1987 წლის დამდეგს ჩელიაბინსკსა (გოგონები) და კაპსუკასში (ბიჭები).

* * *

სურათზე: ჭაბუკთა შეხვედრის მომენტი.

ᲑᲐᲥᲝᲡ ᲭᲐᲢᲠᲐᲛᲖᲔ

ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲗᲐ საკავშირო პირველობა სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებს შორის პირველად შარშან ჩატარდა ალმა-ათაში. მაშინ სარბიელზე 8 გუნდი გამოვიდა. ამჯერად ბაქოში გამართულ მსგავს შეჯიბრებაში 14 სკოლა-ინტერნატის საუკეთესო ძიუდოისტებმა იასპარეზეს. აქვე გადაწყდა, რომ ინტერნატები, სპორტული საზოგადოებების მსგავსად, ცალკე გუნდით გამოვლენ სსრ კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატებში.

კარგად იჭიდავა სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლემ იოსებ ჭყონიშვილმა (68 კგ). მან ხუთივე შეხვედრა მოიგო (2 წმინდად, 3—ქულებით) და პირველობა მოიპოვა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ხვთისო წიკლაური). გერა სიმე ხაბულიანმა (62 კგ) და გიორგი ჯანელიძემ (+83 კგ). მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ᲑᲐᲠᲯᲘ ᲑᲐᲑᲐᲠᲘᲐᲫᲔ.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲔᲜᲙᲔ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲐ

მოცივგური ქალებიდან დღესდღეობით ყველაზე პოპულარული სპორტსმენია კარინ ცანია-ენკე (გდრ) — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. ამიტომ მის ნათქვამს ჟურნალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

საბჭოთა კავშირ — გდრ-ის ნაკრები გუნდების შეხვედრის წინ ენკემ ჟურნალისტებს აუხსნა, რომ იგი პირველ რიგში მრავალჭიდელია და სპრინტერულ დისტანციაზე მოპოვებულ წარმატებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მაგრამ ჩემპიონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ შეჯიბრებაში 500-მეტრიან დისტანციაზე საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა.

— ჩვენ, მე და ჩემი მწვრთნელი, რამდენიმე კვირის განმავლობაში მხოლოდ გამძლეობის გაბმასუშავებლად ვვარჯიშობდით და როგორც ჩანს, ტყუილად არ გავრჯილვართ. ყოველ შემთხვევაში 41,75 წამი ამიერიდან ფარკვეულ ილუზიებს შემიქმნის.

ᲘᲣᲢᲐ ᲛᲘᲣᲚᲔᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

იუტა მიულერი (გდრ) ფიგურულ ციგურაობაში საქვეყნოდ ცნობილი, აღიარებული სპეციალისტია. ჟურნალისტები მასთან საუბრის დროს, როგორც წესი, დარგის გლობალურ პრობლემებზე მსჯელობენ.

ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე იუტა მიულერმა ფიგურული ციგურაობის მომავალზე საუბრისას განაცხადა: „ადვილი შესაძლებელია მოკლე ხანში არტისტიზმი ჩვენს სპორტში მეორეხარისხოვან ფაქტორად გადაიქცეს. თანამედროვე მუსიკა ფიგურულ ციგურაობაში მხოლოდ ფონის როლს ასრულებს. ვარჯიშები იმდენად გართულდა, რომ სპორტსმენიცა და მწვრთნელიც მთავარ ყურადღებას მხოლოდ მათ შესრულებას უთმობენ“.

ᲡᲢᲔᲜᲛᲐᲠᲙᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲝᲑᲡ

ამას წინათ ცნობილმა შვედმა სამთომოთხილამურემ ინგემარ სტენმარკმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მომავალ სეზონში დიდ სპორტს თავს დაანებებს. თუმცა 30 წლის სპორტსმენმა იქვე დაუმატა, რომ წარმატების შემთხვევაში შეიძლება თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს კიდეც.

მიმდინარე სეზონი სტენმარკისთვის წარმატებით დაიწყო. იტალიის ქალაქ სესტრიერში შვედმა მოთხილამურემ მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებზე 84-ე გამარჯვება მოიპოვა. ასეთი შედეგი მსოფლიო სათხილამურო სპორტის ისტორიაში ჯერ არც ერთ სპორტსმენს არ უჩვენებია. საინტერესოა ისიც, რომ სტენმარკმა მსოფლიო თასი სამჯერ მოიგო, ორჯერ ოლიმპიური, ხუთჯერ კი მსოფლიო ჩემპიონი იყო.

ცხადია, გულდასაწყვეტი იქნება ამ რანგის მოთხილამურემ დროზე ადრე რომ დაანებოს თავი სპორტს.

ᲐᲠᲐᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ადვილი შესაძლებელია 1989 წელს ჩატარდეს „მსოფლიო თამაშები“ სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში. აჭა-იქ ამ ღონისძიების ადგილსა და ვადებსაც კი აქვეყნებენ: კარლსრუე (გფრ), 20-30 ივლისი.

„მსოფლიო თამაშების“ ორგანიზატორთა მტკიცებით, შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 60-ამდე ქვეყნის ორი ათასზე მეტი სპორტსმენი. თამაშების პროგრამაში 20 სახეობა იქნება. ჩართული, მათ შორის კარატე, წყალთხილამურები, ჰოკეი გორგოლაჭებიანი ციგურებით, ბაგირის გადაძალვა და ა. შ.

პროგრამა, ცხადია, ჯერ არ არის დაზუსტებული. ამ საკითხზე სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელები მუშაობენ. ვარაუდობენ, რომ 1987 წლის ბოლომდე ყველაფერი მოგვარდება.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲒᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ

ᲨᲐᲢᲣᲜᲘᲡ, 15 დეკემბერი. (ჩვენი კორესპონდენტი ირინა ბ.) ... ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია. არავინ, არც მაყურებლები, არც სპეციალისტები და არც შეჯიბრების მონაწილენი არ ელოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი უმამლდონის ტურნირის ორგზის გამარჯვებულ ბორის ბეკერს (გფრ) ქაამარცხებდა. მაგრამ რა არ შეიძლება მოხდეს ორსაათიან ბრძოლაში, როცა ნერვები უკიდურესად დაძაბული და ორთავე მხარე სასურველი შედეგის მიღწევას ცდილობს.

ჩესნოკოვმა მოიგო პირველი პარტია (6:2), ბეკერმა — მეორე (6:4), მესამე გადამწყვეტ პარტიაში მდგომარეობა დიდხანს გაურკვეველი იყო, მაგრამ ბოლოს მაინც ჩესნოკოვმა იმარჯვა — 7:6.

ეს მოხდა ერთ-ერთ მეოთხედფინალურ ტურნირში, რომელიც წრიული სისტემით ტარდებოდა. ორთავე მეტოქემ ორ-ორი გამარჯვება მოიპოვა და თითო შეხვედრა წააგო. მაგრამ ნახევარფინალის საგზური დამარცხებულ ბეკერს ერგო, რომელსაც პარტიების უკეთესი შეფარდება (5-2) აღმოაჩნდა (ჩესნოკოვს 5-4 ჰქონდა).

ბედის ეს წყალობა გერმანელმა ჩოგბურთელმა ღირსეულად მიიღო და დარჩენილი შეხვედრები უადრესად მობილიზებულმა ჩატარა. ფინალში კი შვედი იონას სვენსონი დაამარცხა (7:6, 7:6, 6:3) და გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა.

ᲒᲣᲨᲘᲜᲘᲜ მოსკოში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 50-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 3 (ბობსლეი), 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 10 (წყალბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 31 (ფარიკაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 8 (ტრეკზე ველოსიპედოლა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (შშვილდოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

„ᲚᲔᲚᲝᲜᲘ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ოდით და იქიდან ვადევნებდით თვალს ბრძოლებს. იმ დროს ავლაბრის ცირკში ჭიდაობდნენ ცნობილი ფალავნები: შაშო ვერელი, პატარა ვერელი, მიტო გლდანელი, იოსებ მეჯვრისხეველი, დათა ავლაბრელი და სხვები. ახალგაზრდებში გამოირჩეოდა ამბროსი გაგნიძე, რომელმაც ბევრი გამოცდილი ფალავანი დაჯაბნა. ერთხელ არბიტრმა მაყურებლებს მიმართა, ხომ არავის სურს გაგნიძეს დაეჭიდოსო. ერთი შავტუხა ბიჭი წამოდგა, მე დავეჭიდებიო, ჩოხა გადაიცვა და წრეში გავიდა. ყველას გვეგონა, რომ გაგნიძე იმ ბიჭს ააბურთავებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად! იგი რამდენიმე წუთში ბეჭებზე გააკრა შავტუხამ. ხალხმა ხელში აიყვანა უცნობი ფალავანი. მერე გავიგეთ მისი გვარი და სახელი, ტუხა მუხრანელი ყოფილა.

...იქნებ ახლაც, ამ შეჯიბრებებზეც ჭამოჩნდნენ ისეთი ბიჭები, რომელთა სახელებიც ლეგენდად იქცევა. ვიმეორებ, უთუოდ კარგი წამოწყებაა, მაგრამ ერთსაც ვიტყვი: ალბათ აჯობებდა მონაწილენი წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, წინა შაბათს, - მაგალითად, 100-კილოგრამიანი მოჭიდავე 50-კილოგრამიან „ჩიორას“ შეარკინეს. არ არის სწორი, წყვილებს შერჩევა უნდა. ქართული ჭიდაობის წესია ასეთი, ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

გუშინ მოსკოვში განახლდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ცალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. თბილისის „დინამო“ ხვდებოდა მოსკოველ თანაკლუბელებს. მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე თბილისის დინამოელები შეხვედრას იგებდნენ 68:61. საბოლოოდ 68:66 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ: ᲑᲐᲗᲣᲛᲘ—„ᲕᲔᲠᲐ“

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში მინიფეხბურთში უბნებს შორის რესპუბლიკურ პირველობაზე შეხვედრები ასე დამთავრდა: ბათუმი — ხოხუმი 3:2; „ვერა“ — „ვაკე“ 1:1 (5:4 პენალტებით). დღეს ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ვერა“ — ბათუმი (20 საათზე) მანამდე კი, 19 საათზე, მესამე საპრიზო ადგილისთვის ითამაშებენ ხოხუმისა და „ვაკის“ ფეხბურთელები.

ᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲢᲣᲠᲜᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის ნაკრების შემდეგ კალათბურთის სამშობლოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს იუგოსლავიის ეროვნული გუნდი ეწვია. იუგოსლავიის პრესამ და ნაკრების მწვრთნელმა კრეშიმირ ჩოსიჩმა ტურნეს შედეგები დადებითად შეაფასა. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ ბრძოლაში საბრძოლო წრთობა მიიღო ახალგაზრდების საკმაოდ დიდმა ჯგუფმა: ჯორჯევიჩი, კომაჟეჩი, დიკიჩი, ბლაჟევიჩი, პასპალია, რადა, კუკუჩი.

ტურნეს პირველ მატჩში იუგოსლავიის ნაკრებმა დრაჟენ პეტროვიჩისა (29 ქულა) და პასპალიას (33) ზუსტი ტყორცნების შედეგად დაამარცხა ტენესის უნივერსიტეტის გუნდი 102:84 (58:44). შემდეგი მატჩი ამ მეტოქეებს შორის საკმაოდ დრამატულად წარიმართა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს 46:40, ხოლო მატჩი ანგარიშით 94:94 დამთავრდა. მხოლოდ დამატებით ხუთ წუთში მიაღწიეს მასპინძლებმა წარმატებას — 113:109. მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ჩატმანი (26), კაპენერი (18), დამარცხებულთაგან — დრაჟენ პეტროვიჩი (40) და ცვეტიჩანინი (35). საინტერესოდ წარიმართა ტურნეს შემდგომი მატჩი კენტუკის უნივერსიტეტის გუნდთან. შეხვედრას 24 000 მაყურებელი დაესწრო. მატჩის ბედი მნიშვნელოვანწილად დრაჟენ პეტროვიჩის (32 ქულა) ოსტატობამ გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ მან 8-ჯერ ტყორცნა სამქულიანი ზონიდან და 6-ჯერ— ზუსტად. ანგარიშით 76:74 (37:30) გაიმარჯვა იუგოსლავიის ნაკრებმა. ოჰაიოს შტატის ნაკრებთან გამართულ მატჩში იუგოსლავიელებმა საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 103:76 (53:45). პეტროვიჩმა გუნდს 33 ქულა შესძინა, დიკიჩმა — 17.

იუგოსლავიელთა მატჩს ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდთან 15.500 მაყურებელი დაესწრო. შეხვედრის პირველი ნახევარი მინიმალური ანგარიშით — 53:52 სტუმრებმა მოიგეს, მაგრამ მასპინძლებმა მეორე ტაიმში ვოლფის (28 ქულა) და ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილის კენი სმითის (26) მეშვეობით გარდატეხა შეიტანეს თამაშში და გაიმარჯვეს — 102:92. საუკეთესოდ ითამაშეს პეტროვიჩმა (35) და ცვეტიჩანინმა (23). ტურნეს დასკვნით მატჩშიც იუგოსლავიელებმა გაიმარჯვეს — 77:65 (37:28). ამ შეხვედრაში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა კალათბურთელებმა: ცვეტიჩანინმა (15 ქულა) და კუკოჩმა (13).

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეკანშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ: 66425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05975